# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ... ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ... ჭილაძის (გურიელის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... ადრესით: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

... წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
... თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ.; ... ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანი ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ სხვადასხვა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაუმთავრებელს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" დირს ერთი შაური.


ეს ნომერი შეიცავს ექვს პირს.

---

**არწრუნის თეატრი.**

**კვირას, 21 ნოემბერს**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

# ხათაბალა

...მედ. 4 მოქ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

დასაწყისი 8 საათზედ.

---

**კრება,** რომელიც დანი-...ული 20 ამ თვისას, ქართული მე-...ურული ტერმინების შესამუშავებ-...დ იქმნება ქალაქის რჩევის ზალაში, ...ამის შვიდ საათზედ.

---

### ბათომის სკოლის თაობაზედ

ტფილისი, 19 ნოემბერს.

...რამდენიმე საუკუნოა განმავლობაში ...გან დაშორებულ ბათომის ქარ-...ლების ხელ-ახლად დამმობილებ-...ის ერთი საუკეთესო საშუალებ... უეჭველია, სკოლა.

...ა ჭეშმარიტება კარგად გაიგო ჩვენ-... „წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-...გადოებამ" და ბათომის მხრის რუ-...თან შემოერთებისათანავე გახსნა ...სკოლა.

...საუბედუროდ, ამ სკოლის საქმე იმ ...ით როგორლაც რიგიანად და სა-...ველად არ მიდიოდა. მაჰმადიან ...ველებმა თითქო ეჭვით და გან-...დაუწყეს ამ სკოლას ყურება: თა-...თ შვილებს არ აბარებდნენ იქ ...ზრდელად. სკოლა გაივსო დროე-... იქ მისულ იმერლებ-გურულებ-...ულების შვილებით და ამ ნაირად ...ლა თავის პირ-და-პირ დანიშნუ-...ბას ვერ ასრულებდა.

...მაგრამ „წერა-კითხვის გამავრცელე-...ლ საზოგადოებას" მაინც-და-მაინც ...ლი არ ეკარგებოდა, რომ ჩვენი ...მე მაჰმადიანი ქართველები ადრე ...გვიან გაიგებდნენ ქართულ სკო-...ს საჭიროებასა და სარგებლობას, ...ნახავდნენ, რომ სკოლას მხოლოდ ...ი განზრახვა აქვს — სწავლა და ...შვილების აღზრდა—და გულ-ღიად ...ბარებდნენ იმას თავის შვილებსა.

...ვლილ მაისში, „წერა-კითხვის სა-...გადოების", წლიურ კრების დროს, ...ერთი პირები ალაპარაკდნენ, რო-...ნიც ამტკიცებდნენ, რომ ბათო-... სკოლას არავითარი მნიშვნელო-...ბა აქვსო, შინ რომ მიცვალებუ-...ჰყავდეს, გარეთ ტაბლას რა უნ-... (თითქო ბათომის ქართველები ...ვე ქართველები არ არიან, რო-... ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და სხვ.), უმჯობესიაო სადმე ჩვენში გავხსნათ სკოლა და იქ დავხუროთო და სხვ. და სხვ.

საზოგადო კრება არ დათანხმდა მაშინ ამ წინადადებაზე და არა თუ ბათომის სკოლის დახურვა გადაწყვიტა, თუ შეძლება გვექნება, კარგი იქნებაო, ერთი სკოლა შავშეთში ან სხვაგან სადმე ბათომის მაზრაში კიდევ გავხსნათო.

დღევანდელს ნომერში დაბეჭდილი განაჩენი ბათომის ბეგებისა გვიმტკიცებს, რომ ის ზოგიერთი პირები, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ ბათომის სკოლისა, სტყუოდნენ და საზოგადო კრება კი გონიერად მოიქცა.

ჩვენი მკითხველი, უეჭველია, წაიკითხავდა ამას წინად ჩვენს გაზეთში (№ 238) დაბეჭდილ ბათომის კორრესპონდენციას იმავე საგნის შესახებ, რაზედაც ქვემო მოყვანილი განაჩენია დაწერილი. გაიგებდა, რომ ბათომის ბეგებს, ჩვენს მოძმე მაჰმადიან ქართველებს გარდაუწყვეტიათ, პირობა დაუდვიათ და ამ გარდაწყვეტილებას აცნობებენ „წერა-კითხვის საზოგადოებას", რომ თქვენს სკოლაში მივცემთ შვილებსაო და ნივთიერადაც დაგეხმარებით ამ სკოლის რიგიანად გასამართავადაო.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა ერთს თვის წევრს გზავნის ამ დღეებში ბათომში ამ საქმის რიგიანად მოსათავსებელად.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სასიამოვნოა, ჩვენგან დაშორებულ ძმებმა ისევ ჩვენთან ძმობის სურვილი რომ გამოაცხადეს და საქმითაც ამტკიცებენ ამას, არა მარტო სიტყვით. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ეს საქმე კეთილად და ყველა ქართველისათვის სასურველის წარმატებით შესრულებული იყოს.

---

### ბათომის ბეგების განაჩენი.

1882 წლის ოქტომბრის 30 დღეს,

ჩვენ ქვემორე ამის ხელის-მომწერელთა ქ. ბათომის მცხოვრებთა ქართველ მაჰმადიანთა, ჩვენი საზოგადოების მონდობილებით, დავადგინეთ შემდეგი განჩინება:

ა) შემდეგ ხანგრძლივი მოსაზრებისა და ბაასისა გადავწყვიტეთ მივცეთ სასწავლებლად ჩვენი შვილები „ტფილისის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან" ბათომში დაარსებულ საერო სკოლაში;

ბ) თათრული ენის და მაჰმადის სჯულის მასწავლებლად (ხოჯად) ერთ-ხმად ამოვარჩიეთ მაჭახელაში მცხოვრები სულეიმან-ეფენდი მეჰმედ-ეფენდი ზადე, კაცი პატივცემული, მაღალ-ზნეობიანი, ზედ მიწევნით მცოდნე მაჰმადის სჯულისა და კარგად განვითარებული თათრულ, არაბულ და სპარსულ ენებში, რომელიც უკვე გამოვიწვიეთ მაჭახელიდან და ამ ჟამად იმყოფება ქ. ბათომში.

გ) რადგანაც ხსენებული ხოჯას არ თანახმდება საზოგადოებისგან განწესებულ წლიურს ჯამაგირზედ (150 მ.) და ჩვენც ვერ ვაკადრებთ მას ამ ნაირ მცირე ფასს შრომისას, ამისთვის გადავწყვიტეთ, სკოლის მასწავლებლის ბ. მოსე ნათაძის შუამავლობით,ვსთხოვოთ საზოგადოებას, რომ მან დაუნიშნოს ამ ხოჯას თვეში ოცი მანეთი;

და დ) ეს განჩინება და ყმაწვილების სია გარდაეცეს საზოგადოების მმართველობაში წარსადგენად ბ. მოსე ნათაძეს შესაბამი განკარგულების მოსახდენად ამ საქმის თაობაზედ ქ. ბათომში.

იბრაჰიმ-ბეგ სანჯაყ-ბეგ ზადე აბაშიძე.
დურსუნ-ბეგ სანჯაყ-ბეგ ზადე აბაშიძე.
მოლა მეჰმედ-ზადე ხუსეინ-აღა აბაშიძე.
შაინ-ეფენდი ბოლქვაძე.
ხასან-აღა კიკავა-ზადე.
სულეიმან-აღა როსტომ-აღა ზადე.
ოსმან-აღა მუტაფ-ზადე.
ისმაილ-აღა ჭეშა ზადე.
თემელ-აღა კალიონჯი-ზადე.
ილიას-აღა მემი-აღა ზადე.
შერიფ-აღა ზადე ხუსეინ-აღა.
ხასან-აღა ბაკურიძე.
ოსმან-აღა მუფტი-ზადე.
ხუსეინ-აღა როსტომ-აღა ზადე.
ბიბინ ზადე დურსუნ-ბეგ.
ხუსეინ-აღა ბაკურიძე.
მუფტი ზადე კადირ-ეფენდი.
დურსუნ-აღა ზადე ხუსეინ-ეფენდი.
ხუსეინ-ეფენდი ყარა-აღა-ზადე.
ხუმუტ-აღა ტორნი-ზადე.
მერტან-აღა მარშანია.
ხაჯი-იბრაჰიმ-ზადე ალი-ეფენდი.
რეშიდ-ეფენდი შაშიკ-ზადე.
ახმედ-ეფენდი ხაჯი მაჰირ-აღა-ზადე.
ომერ-აღა მაჰმუდ-ალი-ზადე.

---

### დღიური

ჩვენს მკითხველს ეხსომება, რომ ამ ორის წლის წინად ქალაქის რჩევასა და ბ. ტფილისის გუბერნატორს შორის ფიცხელი შეტაკება მოხდა პურის ვაჭრობის თაობაზედ, როდესაც ოდესის ერთმა ვაჭართაგანმა ბ. როდოკონაკიმ მოიტანა ჩვენს ქალაქში რუსეთის პური და ქალაქის გამგეობამ რკინის გზის ვაგზალზე ამ პურის გაყიდვის ნება არ მისცა ბ. როდოკონაკის და ადმინისტრაცია კი ძალას ატანდა ქალაქს—მიეცეს ეს ნებაო.

ამ საქმის შესახებ ქალაქის რჩევამ სენატში შეიტანა საჩივარი ადმინისტრაციის მოქმედებაზე და დღეს, როგორც „იურიდიული მიმოხილვა" გვაცნობებს, სენატს ეს საქმე ქალაქის სასარგებლოდ გარდაუწყვეტია და ადმინისტრაციის მოქმედება კი უკანონოდ უცვნია.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად დაბეჭდილი სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი შემაძრწუნებელ მოქმედებას აგვიწერდა სიღნაღელ ორის ვაჭრისა და იმათგან ანაგელ გლეხის მირიანაშვილის ცოლ-შვილისა და მუშების წვალებას.

ამ საგნის შესახებ სიღნაღიდამ გვწერენ ახლა, რომ გამოძიება იყო დანიშნულიო, გამომძიებელს გარდა, თვითონ პროკურორმაც დაწვრილებით გამოიკვლიაო და ყველა ის გარემოება, რაც თქვენს გაზეთში იყო აწერილი, დაწვრილებით გამართლდაო.

* * *

კახეთიდამ გვწერენ, უჯარმის ტყეს ცეცხლი წაეკიდა და იწვისო.

ამ გვარსავე ამბავს გვწერენ ქართლიდამაც: ეს ორი კვირაა, რაც ტუსიშვილების ტყეს რამდენსამე ალაგას ეკიდება ცეცხლიო, რომელიც ისე გაძლიერდა, რომ ერწოს სამზღვარზედ გადავიდაო.

ორივე მხრიდამ შემოგვჩივიან, რომ თუმცა ეს ცეცხლი ჩვენ ტყეებს ანადგურებსო, მაგრამ კაცი არავინ არისო, რომ ყური უგდოს და იზრუნოს ან აზრუნებინოს ხალხს ამ ცეცხლის გაქრობისთვისაო.

* * *

პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ, რომ კავკაზიის ტრანზიტის თაობაზედ ფინანსთ, უცხო ქვეყნის საქმეთა, გზისა და ზღვის მინისტრებს ექნებათ მსჯელობაო და ამ მსჯელობაში კავკასიის მთავარ-მმართველიც მიიღებს მონაწილეობასაო.

* * *

გუშინ გიმნასტიკის ზალაში „გუნიბის მოედანზე" იყო პირველი წარმოდგენა თვალთ-მაქცობის პროფესორის ბეკკერისა. ბ. ბეკკერმა ბევრი ისეთი თვალთ-მაქცობა და ფოკუსები უჩვენა მაყურებელთ, რომელიც ქალაქის მცხოვრებლებს არ უნახავს. განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებისა „სონამბულიზმმა" (დაძინება) დაიმსახურა, ცარიელის აუზიდამ თევზების გაჩენამ, ერთის ცარიელის ბო-

თლიდამ სხვა-და-სხვა სასმელების გადმოსხმამ, უკანასკნელი, ოთხასი რიუმკა და ზოგიერთი სხვა თვალთ-მაქცობა. ბ. ბეკკერი ცოცხალი, მარჯვე ხელების პატრონი თვალთ-მაქცია და, უეჭველია, რომ იმის წარმოდგენებზე ყოველთვის საკმაო ხალხი მოაწყდება.

* * *

ქიზიყიდამ გვწერენ:

„სოფ. ვაქირის ნათლის-მცემლის ეკკლესიის კრებას აქვს ზედ მიწერილი ერთი ძველი ეკკლესია—წმიდა გიორგი, რომელიც არის აღშენებული აწინდელ დროს ერთ დიდ გორაზედ სოფ. ვაქირის თავში.

„ბუშინ 10-ს გიორგობისთვეს იყო ამ ეკკლესიის დღესასწაული. ჩვეულებისა მებრ შემოსავალი იყო ბევრი, რადგან ამ დღესასწაულში ვაქირის ეკკლესიასაც აქვს მონაწილეობა. წირვის გამოსვლის შემდეგ მლოცავნი წაემგზავრნენ შინისკენ სხვათა შორის სამღვდელონიც თავიანთ შემოსავლით ესე იგი ქათმის მწვარებით, ძროხისა და ცხვრის მხარ-ტყავით და სხვ. ვაქირში რომ ჩამოვიდნენ, მოუვიდათ ჩხუბი მწვარებზედ და სხვებზედ მღვდლებს და დიაკვნებს—თუ მე უნდა წავიღოვო, სთქვა ერთმა მღვდელმა მ. ჯ—მა. მეორემ—დიაკონმა სთქვა, რომ ჩემი ჯერია ეხლა შინ წაღებისაო; მესამემ—თუ არა, ჩემი ჯერი არისო!

„ამ ჩხუბში, აყალ-მაყალში და მწვარების გლეჯაში ერთმანეთის ხელიდან ძალიან აჩქარდნენ და რადგანაც მ. ჯ—ვი აჩქარა უმეტესად თავის სულ-მოკლეობამ და ნამეტნავად სიხარბემ, მაშინ ერთმა იმათგანმა კარგი სილა სტკიცა კურთხეულ ხარბ მ. ჯ—ვს ასე, რომ თითებმა ძალიან ნასახი დასდო სახეზედ; არამც თუ მწვარეები, არამედ თავის-თავიც დაავიწყა ამ შემთხვევამ და დაპირებამ ნავომარში ვადაგდებისა ბახუსის გამო. უკეთესი იქმნებოდა, რომ მღვდლები და დიაკვნები დასჯერდნენ თავ-თავიანთ მრევლის შეწირულს მსხვერპლსა, როგორც ყოფილა უწინ".

## რამდენიმე სიტყვა ტყეების დაცვაზე.

როდესაც ცეცხლი გაუჩნდება ჩვენ მთებს და მშვენიერი და ძვირ ფასი ტყეები ცეცხლით იდაგება, მაშინ დაიწყებენ ლაპარაკს ჩვენ დრო გამოშვებით გაზეთ-ჟურნალებში, მაშინ მხოლოდ მიაქცევს ყურადღებას ჩვენი ადმინისტრაციაცა. მაგრამ იმ დროს წერა, ლაპარაკი და საშუალების ხმარება, როდესაც მთელ ტყეებს მოდებული აქვს ცეცხლი, გვიანღაა. ამ დროს, რამდენიც უნდა ეცადნენ, ვეღარაფერს მიეშველებიან.

არ დამწვარა იმდენი ტყე ჩვენში არასოდეს, რამდენიც წლევანდელ გოლვიან ზაფხულში დაიწვა. ვისაც ჩვენი მხარის კეთილი სურს, ვინც ჩვენი ხალხის კეთილ დღეობისათვის ზრუნავს და ვისაც ამ ცეცხლით ზარალი თავის თვალით უნახავს, იმას, რასაკვირველია, მოსვენება არ ექმნება და ნიადაგ იმაზედ ფიქრობს, რომ ამისთანა უბედურება არ გამეორდეს ხოლმე. მაგრამ ვისაც თავისი არა აკლდება-რა და ვისაც ჩვენ ქვეყანაში ქვა-ქვაზედაც რომ არ დარჩეს, მაინც არა ენაღვლება-რა, იმას ფეხებზე ჰკიდია ჩვენი ტყეების ბედი და მათი დაცვა...

რომ კარგად გამოიანგარიშოს კაცმა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში წელს ერთი მილიონის მეტი ტყე დაიწვა. რისაგან მოხდა ეს? ზოგიერთები ამ ცეცხლის გაჩენას ნამეტან სიცხეებს მიაწერენ. ვინც პატარა რამე იცის, მე ვგონებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რაც უნდა სიცხიანი წელიწადი და ზაფხული იყოს, ცეცხლი მთაში უცეცხლოდ არ გაჩნდება. ხშირად მოხდება, რომ ცეცხლს საგანგებოდ აჩენენ სადმე ადგილში. მოხდება ხშირათ, რომ მგზავრ კაცს რჩება ცეცხლი და ბოლოს მრთელ ტყეს ეკიდება. მოხდება ისიც, რომ კაცი საყანედ იღებს ახოს; ამ ახოს ცეცხლით მოსწმენდს და ეს ცეცხლი საყანედამ ტყეში გადადის და მრთელ ტყეს გადასწვავს...

რა უნდა ჰქმნას ამ შემთხვევაში მართებლობამ და ადმინისტრაციამ? ამისი ღონე ადვილია. ჩემის აზრით მართებლობას, რომ ხუთი ათასი მანეთი დაეხარჯა ამ ზაფხულში ტყის ყარაულებისათვის, ერთი მილიონის ტყე იქმნებოდა დაცული. თითო მთაში, სადაც ტყეებია, თუთხმეტი კაცი იყო საკმაო საყარაულოდ. ეს კაცები შეიძლებოდა ქირით დაეყენებინათ. ამისთანა ტყის ყარაულები არავის არ მისცემდნენ ცეცხლის შეტანის ნებას ტყეში და ამით არც ცეცხლი გაჩნდებოდა. სადმე რომ კიდეც გაჩნდეს ცეცხლი, საკმაოა ათი კაცი, რომ იმ თავითვე გააქროს; მაგრამ როდესაც მთელ ტყეს მოედება, მაშინ ვეღარც ერთი ათი და ვერც ათასი ათი დააქრობს, როგორც სამწუხაროდ, გამოცდილებამ დაგვიმტკიცა. ჩვენი ადგილობრივი ადმინისტრაცია მხოლოდ მაშინ მიაქცევს ყურადღებას, როდესაც ორმოც ვერსზე კომლის სუნი მიაწვდება მათთან, ანუ სინათლე...

მივაქცევთ ამ საგანზე მართებლობის ყურადღებას და იმ პირებისასაც, ვისაც ჩვენი მხარისათვის გული შესტკივა. ამ საგანზე, მონახოს საშუალება, რომ ყოველ წელს ამტენი ტყეები არ იწოდეს. დასდვან საიდელი ყარაულებისათვის, რომ მთებს მოუარონ და ცეცხლი არავის შეატანინონ. თითო კაცზე, რომ თუმანი დაინიშნოს თვეში, ხუთასი თუმნით შეიძლება ორ თვეს კაცმა ხუთასი კაცი დაიქირაოს და ხუთასი კაცი ყველა მთებს დაიცავს ცეცხლისაგან და ყოველ წელს 500 ათასი მანეთის ზარალს აგვაშორებენ. ადმინისტრაცია კერძო პირების ტყეებს ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ კერძო პირების ტყეებიდამ ცეცხლი გადადის სახაზინო ტყეებში და ისინიც ცეცხლის მსხვერპლად ჰხდებიან ხოლმე ხშირად.

ს—ის მ—ელი.

## „დროების" კორრესპონდენცია

**ს. მაჩხანი,** (სიღნაღის მაზრისა), 12 ნოემბერს. სხვას ნუ გაუთხრი სამარეს, თვითონ ჩავარდებიო, ამბობს ანდაზა. სწორეთ ასე მოუვიდა სიღნაღის ვაჭრებს. უმეტესი ნაწილი ამათგანი აქამდის ქართველებს აწუხებდა სხვა-და-სხვა საშუალებით, და ეხლა კი, როდესაც ქართველმა ცოტა არიყო, შეიძლო ამათი პასუხის-გება, ესენი ერთმანეთს დაერივნენ.

ერთ სიღნაღელ ვაჭარს იაგორ ნუბაროვს, უჩივა მისი ქვრივი რძალი წვრილის შვილებით სამკვიდრო ნაწილს, და რადგან შინაურულად ვერ მორიგდნენ, ქვრივს დაუბარებია ტფილისიდგან ვილაც ადვოკატი—სომეხი. ეს ადვოკატი ამ დღეებში სიღნაღში ჩამოსულა და აქედგან წამოუყვანია პრისტავი ჩვენს სოფელში მაჩხანში, იაგორ ნუბაროვის ღვინოების ასაწერად. ბ. იაგორას თავის მხრითაც წამოუყვანი შესანიშნავი სიღნაღის ადვოკატი ბ. ლიანოზოვი. ეს ის გმირი ლიანოზოვი გახლავსთ, რომელსაც დაბრალდა მირინაშვილის სახლობის წვალება, და რომელიც ამ ჟამად არის ას თუმნიან თავდებობის ქვეშ გაშვებული.

მაჩხანში, სადილზედ, ბ. ლიანოზოვი თურმე შეეხო ქვრივის პატიოსნებას. ეს სწყენია ქვრივის ადვოკატს და უთხოვია ლიანოზოვისათვის, რომ ნულარ გაიმეორებს ქვრივის ცუდად ხსენებას, მაგრამ კადნიერ ლიანოზოვს თავისი არ დაუშლია. მით მოთმინებიდგან გამოსული ადვოკატი აიღებს იქ მდგარ კარგ მოსულ ხელადას, ღვინით სავსეს, და ლიანოზოვს უთავაზებს ყურის-ძირში...

ბატ. ლიანოზოვი იქვე წაიქცევა და დიდის ვაი-ვაგლახით მოაბრუნებენ. ეს, რასაკვირველია, სწყენს ბ. იაგორს და თავის მხლეზით დაეცემა ქვრივის ადვოკატს, მაგრამ ამ უკანასკნელს ღონეს უქებენ და იმის მეათედიც ვერა დააკლეს-რაო, რაც ამან იმათ მიაყოლაო. ამ დროს სოფელი მოეშველა, გააშველეს მაჩხუბრები და თანაც ოხუნჯობა დააყოლეს: ვითომც ბ. იაგორა იმდენად ადვოკატის თავის გატეხას არ ნაღვლობდა, რამდენათაც ხელადის გატეხას და ღვინის დაღვრასაო...

რა გასაკვირველია, რომ უმეტესმა ნაწილმა სიღნაღის ვაჭრებისა ქართველი ხეზედ ჩამოჰკიდოს და მის წვრილ ცოლ-შვილს შეურაცყოფა მიაყენოს, როდესაც ერთმანეთს ესრე სასტიკად ეკიდებიან.

მაჩხანელი.

# ნარევი

მეცნიერება ისეთი რამ არის, რაკი ერთხელ აღმოაჩინა, გამოიგონა რამ, რაც ხანი გავა, ამ აღმოჩენას, ჯერ ნაკლებად გამოსადეგს, თან-და-თან წარმატებაში წაიყვანს. ტელეფონის საქმეც ესე წავიდა: პირველში რომ გამოიგონეს, უბრალო ხმის გადასაცემ იარაღად ხმარობდნენ როგორც ახლო ისე შორი მანძილზედაც. შემდეგ ისე გამართეს ეს იარაღი, რომ კაცს შეუძლიან ეხლა კარგა მოსვენებით [illegible] და მთელი ოპერა მოისმინოს [illegible] შენი ოთახიდან გაყვანილია ტელეფონი. მაგრამ ყველაზედ დიდი სამსახური ტელეფონისა ის არის, რომელიც ამ იარაღს გაუწევია ერთი ამერიკელი ექიმისათვის. ეს ექიმი მიუწვევიათ ერთ ავად-მყოფთან, რომელსაც ხველა ჰქონოდა; მაგრამ რადგან, ცუდი დარის გამო, ექიმმა ვერ შესძლო თურმე წასვლა ავად-მყოფთან, ტელეფონის საშუალებით მოისმინა თურმე ამ ავადმყოფის ხველა, დარწმუნდა, რომ ეს მყივანა ხველაა და ტელეფონითვე გადასცა რეცეპტი, რომელმაც შველა მისცა თურმე ავადმყოფს.

—

ერთი ჩემი მეგობრისაგან მომივიდა წერილი სულ ამ ქვემო ჩამწკრივებულ ორ-ორ ასოებით სავსე და თან მოკლედ მწერდა:

„ვიცი ოხუნჯი კაცი ხარ, ეს ასოები ჩვენი ქვეყნის შვილების სახელ-გვარისა ნიშნებია და, მოდი ერთი, შენებურად იოხუნჯე მათზედაო!".

ვიცი, დამცინა და მწარედაც დამცინა ჩემმა მეგობარმა! ვინ მე და ვინ ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვა! გავბრაზდი და, რაც ენაზედ მომხვდა, ის მივაყოლე ამ სიტყვებს.

გ. ო.
განქრა ორბი.
ი. ჭ.
ივიწყა ჭიკჭიკი.
ა. წ.
აქარვებს წყლულთა.
გ. წ.
გაფრინდა, წავიდა.
მ. გ.
მაგიც გაშპა.
კ. ლ.
კათედრა—ლაპარაკი.
დ. კ.
დაიცხვე კეცებში.
დ. ნ.
დროების ნაძალადევი.
ა. ფ.
აჰ, ფუჰ!
ა. ყ.
აგვავსო ყელთამდე.
გ. ყ.
გაუხსნია ყბა.
ი. ჭ.
ისიც ჭყივის.
ა. ც.
აკლია ცოდნა.
ნ. ხ.
ნამდვილი ხურდა.
ვ. მ.
ვერ მოასწრებ.
ა. ნ.
ალოს ნავარდობს.
ნ. ნ.
ნაირ-ნაირია.
რ. ე.
რამე ერგება.
პ. უ.
პატრი უცოლო.
დ. ს.
დაგვაშვენა სახლით.
ნ. ლ.
ნაქები ლალა.

ვითომ ოხუნჯი.

(სხვა შემდეგისათვის)

# ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისაგან

## ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 21 დეკემბერს მიმდინარის 1882 წლისა, დილის თორმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები) საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნეიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო-აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სასესხო გადასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე 19 §-ის თანახმად, შეავსებენ ბანკის სასესხო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო-აღნიშნულის თავნის ვალიდამ ზედ-დამატებით სხვადასხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს.

ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება იმავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი-მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სასესხო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 11 იანვარს მომავალის 1883 წლისა.

### ქუთაისის გუბერნიის.

### $43^1/_2$ წლიანნი სესხნი.

### ა. ქუთაისის მაზრისა.

**დოდაბერიძისა**, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეჟსკი სოვეტნიკის მეუღლისა: სოფელთა ფარცხანაყანევს, ბაშს და ისნეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, $132^1/_2$ დესიატ.; თავნი ვალი 10,163 მ. 73 კ., შესავსებელი გადასახადი 691 მ. 38 კ. სულ—10,855 მ. 11 კ.

**ქაჯაიასი**, გიორგი ტარიელის-ძის, აზნაურისა: სოფელსა ჭაგანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. 800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 871 მ. 16 კ., შესავსებელი გადასახადი 45 მ. 48 კ. სულ—916 მ. 64 კ.

**მემკვიდრეთა თავადის გლახა ბესარიონს-ძის ლორთქიფანიძისა**: ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 91 დესიატ. 1390 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,389 მ. 38 კ., შესავსებელი გადასახადი 725 მ. 8 კ. სულ—10,114 მ. 46 კ.

**მურადოვისა**, თომა პავლეს-ძის, მოქალაქისა: ქუთაისის მახლობლად, წყალ-წითელას პირზე, სახნავ-სათესი და ტყე, 12 დესიატ. 1,800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 774 მ. 39 კ., შესავსებელი გადასახადი 40 მ. 92 კ. სულ—815 მ. 31 კ.

**მემკვიდრეთა აზნაურისა ბესარიონ ანდრიას ძის ხელთუფლიშვილისა**: ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. 360 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,161 მ. 58 კ.; შესავსებელი გადასახადი 95 მ. 13 კ. სულ—1,256 მ. 71 კ.

**დოლიძისა**, გრიგორი ვასილის-ძის, დიაკონისა: ქვახჭირის აგარს, სოფელსა ჭოგნარს ბაღი და სახნავ-სათესი, 4 დესიატ.; თავნი ვალი 582 მ. 81 კ., შესავსებელი გადასახადი 26 მ. 78 კ. სულ—609 მ. 59 კ.

**ყანდიაროვისა**, ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადვორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, გოდოგანს და წინაველს ეზო, ზვარები და სახნავ-სათესი, 26 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,039 მ. 80 კ., შესავსებელი გადასახადი 72 მ. 99 კ. სულ—2.112 მ. 72 კ.

**მემკვიდრეთა აზნაურის სიმონ ივანეს-ძის მესხისა**: სოფელსა რიონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,457 მ. 3 კ., შესავსებელი გადასახადი 65 მ. 82 კ. სულ—1,522 მ. 85 კ.

**მესხისა**, სიმონ სპირიდონის-ძის, აზნაურისა: სოფელსა რიონს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე. 25 დესიატ.; თავნი ვალი 1,942 მან. 75 კ., შესავსებელი გადასახადი 118 მ. 42 კ. სულ 2,061 მ. 17 კ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფელსა მაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი 18 დესიატ. 450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 777 მ. 21 კ., შესავსებელი გადასახადი 64 მ. 39 კ. სულ—841 მ. 60 კ.

**ქალანთაროვისა**, დავით კარაპეტას-ძის აზ-რისა: სოფ. ტყაჩირს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი და ტყე, 8 დეს. 1098 კვ. საჟ. თავნი ვალი 490 მ. 41 კ. შესავსებელი გადასახადი 38 მ. 80 კ. სულ 529 მ. 21 კ.

**მისივე**: სოფ. ოფიშკვითს და მდ. წყალწითლის ნაპირად სახნავ-სათესი და ტყე, ოთხი დეს. 360 კვ. საჟ. თავნი ვალი 196 მ. 70 კ. შესავსებელი გადასახადი 24 მ. 35 კ. სულ 221 მ. 5 კ.

**მიქელაძისა**, ალექსანდრე ივანის ძის, თავადისა სოფ. ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, $10^1/_8$ დეს. თავნი ვალი 2157 მ. 82 კ. შესავსებელი გადასახადი 131 მ. 5 კ. სულ 2288 მ. 87 კ.

**მიქელაძეთა**: ვალერიან და გიორგი ბეგლარის-ძეთ, თ-დთა: სოფ. ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 23 დეს. 1104 კვ. საჟ. თავნი ვალი 4610 მ. 3 კ. შესავ. გადასახადი 433 მ. 59 კ. სულ 5043 მ. 62 კ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ რევაზ-ს-ძის, თავადისა: სოფ. ოფიშკვითს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი სამი დეს. თავნი ვალი 784 მ. 71 კ. შესავსებელი გადასახადი 70 მ. 24 კ. სულ 854 მ. 95 კ.

**ტოგონიძისა**, მარიამ ანდრიას ასულის: გუბათის აგარს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 10 დესიატ. 889 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 588 მ. შესავსებელი გადასახადი 58 მ. 91 კ.—სულ 647 მ. 36 კ.

**აგიაშვილისა**, ეგვიპტა გიორგის ასულის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი 30 დესიატ.; თავნი ვალი 3148 მ. 26 კ. შესავსებელი გადასახადი 204 მ. 86 კ—სულ 3.353 მ. 12 კ.

**ქორქაშვილისა**, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკი ასესსორის ქვრივისა: სოფელთა მაღლაკს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ. 89 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 688 მ. 69 კაპ. შესავსებელი გადასახადი 54 მ. 51 კ.—სულ 743 მ. 20 კ.

**მისივე**: სოფელთა ბაშს და ფარცხანაყანევს სახნავ-სათესი, 21 დესიატ.; თავნი ვალი 2,579 მ. 90 კ. შესავსებელი გადასახადი 162 მ. 55 კ.—სულ 2,742 მ. 45 კ.

**ლორთქიფანიძისა**, ეფროსინა ნიკოლოზის ასულის, თ-დის: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი, 6 დეს. 1584 კვ. საჟ. თავნი ვალი 590 მ. 25 კ. შესავსებელი გადასახადი 39 მ. 31 კ. სულ 629 მ. 56 კ.

**აგიაშვილისა**, მიხაილ ბეკოს-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს ზვარი და სახნავ-სათესი, 15 დეს. 1251 კვ საჟ. თავნი ვალი 2170 მ. 83 კ. შესავსებელი გადასახადი 145 მ. 51 კ. სულ 2316 მ. 34 კ.

**მისივე**, სოფ. ტყაჩირს ეზო და სახნავ-სათესი, 114 დეს. თავნი ვალი 15096 მ. 92 კ. შესავსებელი გადასახადი 942 მ. 4 კ. სულ 16038 მ. 91 კ.

**დოდაბერიძისა** არკადი სიმონის-ძის აზ-რისა სოფ. გოჩა ჯიხაიშს ეზო ზვარი და სახნავ სათესი სამი დეს. 141 კვ. საჟ. თავნი ვალი 789 მ. 39 კ. შესავსებელი გადასახადი 41 მ. 6 კ. სულ 830 მ. 45 კ.

**ამაღლობელისა**, ივანე გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. გომს ეზო და სახნავ-სათესი, 28 დესიატ. 2,100 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,266 მ. 97 კ., შესავსებელი გადასახადი 71 მ. 26 კ.—სულ 1,338 მ. 23 კ.

**აგიაშვილისა**, გიორგი თეიმურაზის-ძის, თ-დისა: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 დესიატ. 1931 კვ. საჟ.; თავნი ვალი 14,619 მ. 1 კ., შესავსებ. გადასახ. 1070 მ. 98 კ.—სულ 15,689 მ. 99 კ.

**აგიაშვილისა**, სიმონ ბებეს-ძის, თავად.: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი, 18 დეს. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,949 მ. 26 კ., შესავსებელი გადასახადი 86 მ. 91 კ. სულ—20,36 მ. 17 კ.

**აგიაშვილთა**: ქაიხოსრო, კონსტანტინე და სიმონ ბებეს-ძეთა, თავადთა: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დეს. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,728 მ. 87 კ., შესავსებელი გადასახადი 180 მ. 45 კ.—სულ 2909 მ. 32 კ.

**კიკიანისა**, ანნა ფირანის ასულის, აზ-რისა: სოფ. პატრიკეთს ეზო და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 682 მ. 24 კ., შესავსებელი გადასახადი 43 მ. 22 კ.—სულ 725 მ. 46 კ.

**ქუთათელაძეთა**: ევგენი და ტარასი სოფრომის-ძეთა, აზნაურთა: დაბახონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 2057 კვად. საჟ.; თავნი ვალი 1,364 მ. 41 კ., შესავსებელი გადასახადი 86 მ. 79 კ.—სულ 1,451 მ. 20 კ.

**ლორთქიფანიძისა**, ქესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფ. ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დეს. 300 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 1,461 მ. 90 კ., შესავს. გადასახადი 79 მ. 87 კ.—სულ 1,541 მ. 77 კ.

**მესხისა**, ირაკლი გრიგორის-ძის, აზნაურისა: სოფ. ნავენახევს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დეს. 1080 კვად. საჟ.; თავნი ვალი 682 მ. 24 კ., შესავსებელი გადასახადი 54 მ. 84 კ.—სულ 737 მ. რვა კაპ.

**მიქელაძისა**, მელქისედეკ კონსტანტინეს-ძის, თ-დისა: სოფ. ქულაშს და ორ-წყალ-შუას ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 17 დეს. 1,930 კვად. საჟ.; თავნი ვალი 2,436 მ. 53 კ., შესავსებელი გადასახადი 130 მ. 37 კ. სულ 2,566 მ. 90 კ.

**მხეიძისა**, ივანე დავითის-ძის, აზნაურისა: სოფ. კორეეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 8 დესიატ. 651 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 389 მ. 86 კაპ., შესავსებელი გადასახადი 64 მ. 51 კ.—სულ 454 მ. 37 კ.

**გოგორიშვილისა**, მარიამ მერაბის ასულის, აზნაურისა: სოფ. ინაშაურ და ბზვანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 9 დეს. 675 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 977 მ. 70 კ., შესავსებელი გადასახადი 81 მ. 2 კ. სულ 1058 მ. 72 კ.

**გაბაშვილისა**, ნიკო კონსტანტინეს-ძის, აზნაურისა: სოფ. ჯიმაშტაროს, გუმათის აგარს, ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 40 დეს. 580 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,173 მ. 35 კ., შესავსებელი გადასახადი 84 მ. 30 კ.—1,257 მ. 65 კ.

**ლორთქიფანიძისა**, მიხაილ გიორგის-ძის, თ-დისა: სოფ. ამაღლებას სახნავ-სათესი, 82 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7,822 მან. 9 კ., შესავსებელი გადასახადი 428 მ. 4 კ. სულ 8,250 მ. 13 კ.

**ერისთავისა**, ივანე ოტიას-ძის თავადისა: სოფ ამაღლებას, ინაშაურს და უხუთს სახნავ-სათესი და ზვარები, 67 დეს. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,844 მ. 42 კ., შესავსებელი გადასახადი 286 მ. 71 კ. სულ 7,131 მ. 13 კ

**გამყრელიძისა**, ლევან გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. ობჩას ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 11 დესიატ. 1464 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 980 მ. 81 კ., შესავსებელი გადასახადი 61 მ. 75 კ. სულ 1,042 მ. 56 მ.

**გამყრელიძისა**, იოსებ გიორგის-ძის, აზნაურისა; სოფელსა ობჩას ზვარი და სახნავ-სათესი, 11 დესიატ, 168 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 980 მ. 85 კ. შესავსებელი გადასახადი 61 მ. 75 კ.—სულ 1,042 მ. 60 კ.

**იოსელიანისა**, პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 14 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,176 მ. 5 კ. შესავსებელი გადასახადი 93 მ. 99 კ.—სულ 1,271 მ. 4 კ.

**ქორქაშვილის** მართა ლუარსაბის ასულის, აზ-რისა: სოფ. ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, 34 დეს 1480 კვ. საჟ. თავნი ვალი 2664 მ. 18 კ. შესავსებელი გადასახადი 115 მ. 33 კ. სულ 2779 მ. 51 კ.

**მისივე:** სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და სათიბი, 47 დესიატ. 600 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1,682 მან. 22 კ. შესავ. გადასახადი 75 მ. 58 კ.—სულ 1,757 მ. 80 კ.

**მიქელაძისა,** დავით პეტრეს-ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 888 მ. 5 კ. შესავსებელი გადასახადი 52 მ. 67 კ.—სულ 941 მ. 72 კ.

**ნიჟარაძისა,** ალექსანდრა მერაბის ასულის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ. 2304 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1480 მ. 9 კ. შესავ. გადასახადი 92 მ. 60 კ.—სულ 1,572 მ. 69 კ.

**ნიჟარაძეთა:** ერმალოი, ბეგლარ და ვასილ იოსების-ძეთა, თავადთა: სოფელსა მალთაკს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 57 დესიატ. 206 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2466 მ. 81 კ. შესავსებელი გადასახადი 140 მ. 26 კ.—სულ 2607 მ. 7 კ.

**მაჩაბელისა,** ნესტორ იესეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 12 დესიატ. 2,340 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1677 მ. 42 კ., შესავ. გადასახადი 75 მ. 58 კ. სულ—1,753 მ.

**წულუკიძისა,** ქრისტინა ქაიხოსროს ასულის, თავადისა: დაბა ხონს და სოფელთა ივანდიდს, ჭყვიშს და მაიდანს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1113 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,946 მ. 90 კ. შესავსებელი გადასახადი 247 მ. 85 კ. სულ—4,194 მ. 75 კ.

**წულუკიძეთა,** დავით და ალექსი გიორგის-ძეთ, თავადთა სოფელსა ნამაშევს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 46 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,058 მ. 86 კ., შესავ. გადასახადი 254 მ. 64 კ. სულ—3,313 მ. 50 კ.

**ერისთავისა,** გიორგი დავითის-ძის, ნადვორნი სოვეტნიკისა: სოფელთი სალომინაოს და ნოღას სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 31 დესიატ. 1312 კვადრ საჟ.; თავნი ვალი 2,960 მ. 20 კ., შესავ. გადასახადი 186 მ. 31 კ. სულ—3,147 მ. 51 კ.

**ღორთქიფანიძისა,** ქაიხოსრო დავითის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტრისა: სოფელსა დიდ-ჯიხაიშს ეზო და სახნავ-სათესი, 4 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1088 მ. 51 კ., შესავსებელი გადასახადი 51 მ. 73 კ. სულ—1,140 მ. 24 კ.

**მიქელაძისა,** ივანე ნიკოლოზის-ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი 5 დესიატ. 1,500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 989 მ. 55 კ. შესავსებელი გადასახადი 61 მ. 75 კ. სულ—1,051 მ. 30 კ.

**წულუკიძისა,** ნიკო სიმონის-ძის, თავადისა: სოფელსა საწულუკიძეოს ეზო, სახნავ-სათესი საძოვარი და ტყე; 17 დესიატ. 2040 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,958 მ. 16 კ. შესავსებელი გადასახადი 336 მ. 30 კ. სულ—4,294 მ. 46 კ.

**მისივე:** სოფელთა საწულუკიძეოს და დედალოურს სახვავ-სათესი და ტყე, 98 დესიატ 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5,457 მ. 51 კ. შესავსებელი გადასახადი 457 მ. 63 კ. სულ—5,915 მ. 14 კ.

**ჩხეიძისა,** ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: სოფელთა ბაშს და ფსრცხანაყანევს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 79 დესიატ. 768 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,895 მ. 41 კ., შესავსებელი გადასახადი 835 მ. 2 კ. სულ—10,730 მ. 43 კ.

**ნიკოლაიშვილთა,** ოქროპირ როსტომის-ძის და ნესტორ ვატინგის-ძის: სოფლესა სიყულიას ეზო, ტყე და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,480 მ. 68 კ., შესავსებელი გადასახადი 212 მ. 38 კ. სულ—2,693 მ. 6 კ.

**ღორთქიფანიძისა,** პრისკილა ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1152 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,984 მ. 55 კ., შესავსებელი გადასახადი 154 მ. 98 კ. სულ—2,139 მ. 53 კ.

